სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

12 / ივლისი / 2024 წ.

KA011764066560524

№ **152472**

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გიორგი წიკლაურს

ბატონო გიორგი,

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს მთავრობის 2022-2024 წლების პროგრამის შესაბამისად, 3 წლის განმავლობაში სისტემური წესით დარეგისტრირდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწა და მთელი ქვეყნის მასშტაბით შეიქმნება სრულყოფილი საკადასტრო მონაცემები.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №798 ბრძანებით განისაზღვრა სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიული არეალები (59 მუნიციპალიტეტი), რომლებშიც მიწის სისტემური რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს.

აღნიშნული ბრძანების საფუძველზე, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) თავმჯდომარის 2022 წლის 22 თებერვლის № 329/ს და 2 ნოემბრის № 2915/ს ბრძანებებით, განისაზღვრა სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიული არეალების ადმინისტრაციულ ერთეულებში საველე და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების დაწყების დრო (გეგმა-გრაფიკი).

პროექტი ხორციელდება სააგენტოს მიერ პროაქტიულად და სისტემურად მოპოვებული სარეგისტრაციო დოკუმენტაციისა და მის მიერვე პროაქტიულად და სისტემურად შედგენილი მიწის ნაკვეთების საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების საფუძველზე. უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას (დაინტერესებული პირის იდენტიფიცირებას, უფლების დამდგენი დოკუმენტების მოძიებას, მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვა-აგეგმვას და რეგისტრაციას), „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რეგულაციების შესაბამისად, ახორციელებს სააგენტო.

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 30 ივლისიდან სააგენტო საველე-საკადასტრო აზომვით/აგეგმვით სამუშაოებს განახორციელებს თქვენს მუნიციპალიტეტში. საველე-საამზომველო საქმიანობის გეგმურად და შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, გთხოვთ, თქვენს ჩართულობას, ვინაიდან, სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში, მნიშვნელოვანია მოსახლეობის მობილიზაცია, მათთვის საველე და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების დაწყების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, საველე სამუშაოებისას მხარეთა პროცესში ჩართულობა და სხვა.

ხშირია შემთხვევა, როდესაც დაინტერესებული პირი, რომლის მიწის ნაკვეთის აგეგმვა-აზომვა და შემდეგში რეგისტრაცია წარმოებს, არ იმყოფება ადგილზე და გართულებულია მასთან კომუნიკაცია. აღნიშნულის გამო, შესაძლებელია, მოქალაქემ ვერ ისარგებლოს სისტემური რეგისტრაციის პროცესში მისთვის გათვალისწინებული უპირატესობებით.

პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალებში საამზომველო სამუშაოების სრულყოფილად განხორციელების მიზნით, მოგმართავთ თხოვნით, გამოგვიყოთ თქვენი მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურებიდან უფლებამოსილი პირები და მერის წარმომადგენლები, რომლებიც სააგენტოს ამგეგმავების მენეჯერებთან კოორდინაციით, კონკრეტული არეალების მიხედვით, მოახდენენ მოსახლეობის წინასწარ ინფორმირებას და უზრუნველყოფენ მათ ინდივიდუალურ ჩართულობას მიწის ნაკვეთების საამზომველო პროცესებში.

პატივისცემით,

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ჯაბა ჯამაგიძე